სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N 3503040201/2

10 მარტი 2014 წ. 10 Mart 2014 y.

| 1. ხელშეკრულების მხარეები | **1.Parties of the Agreement** |
|---|---|
| 1.1. ერთის მხრივ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო (შემდგომში „შემსყიდველი"), ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი 144, საიდენტიფიკაციო კოდი 202178927, წარმოდგენილი სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის **ნოე ქინქლაძის** სახით და მეორე მხრივ შპს „Sanofi-Aventis Private Co." (შემდგომში „მიმწოდებელი"), უნგრეთი, H-1045, ბუდაპეშტი, ტოს ქუჩა 1-5, საიდენტიფიკაციო კოდი 01-10-043308, საბანკო დეტალები: ბანკის დასახელება: CALYON Bank; ანგარიში: 13100007-02508620-00819782, SWIFT კოდი: BNPAHUHX, მისამართი: H-1045 ბუდაპეშტი, უნგრეთი, წარმოდგენილი შპს „Sanofi-Aventis Private Co." დირექტორის ბუდაპეშტის ლოგისტიკისა და დისტრიბუციის პლატფორმის დირექტორი ზოლტან ენგელლეიტერ სახით სახით. | 1.1. LEPL Social Service Agency (hereinafter referred to as "Purchaser"), located at the address: No. 144, Tsereteli Ave., Tbilisi, identification code 202178927, in person of deputy director of the Agency Mr. **Noe Kinkladze,** on one side, and **"Sanofi-Aventis Private Co."** Ltd. (hereinafter referred to as "Supplier"), Hungary, H-1045, Budapest, 1-5, To Str. identification code **01-10-043308**; bank details: Bank: CALYON Bank; account: 13100007-02508620-00819782, SWIFT code BNPAHUHX; address: H-1045 Budapest, Hungary, in person of its Mr. Budapest Logistic and Distribution Platform Director Mr. Zoltan Engelleiter, on the other side |
| 2. ხელშეკრულების საგანი<br>2.1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების გათვალისწინებით, დიაბეტის მართვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, დიაბეტით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტის მიხედვით სამკურნალო საშუალებების (შემდგომში ტექსტში – საქონელი) (CPV კოდი - 33600000 / SPA140001627) სახელმწიფო შესყიდვა:<br>2.1.1. ულტრახანმოკლე მოქმედების ინსულინის ანალოგი აპიდრა (ინსულინ გლულიზინი) 3 მლ. ხსნარი კარტრიჯში, რომელიც დალუქულია ერთგვაროვან წინასწარ შევსებულ კალამში (სოლოსტარი) 100 ს.ე/მლ 124 780 (ასოცდაოთხი ათას შვიდას ოთხმოცი) კარტრიჯი. | **2.Subject of the Agreement**<br>2.1 Considering the assignments of the State Budget of Georgia, state purchase of medicines according to the component of providing adult patients with Diabetes Mellitus with medical means within the framework of state program (CPV code - 33600000 / SPA140001627), particularly:<br>2.1.1 Insulin analogue Apidra with ultra rapid action (insulin glulisine) 3ml solution in cartridge system sealed in pre-filled pen (SoloStar) 100 IU/ml – 124 780 (one hundred and twenty-four thousand seven hundred and eighty) units; |
| 3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება<br>3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1064265.96 (ერთი მილიონ სამოცდაოთხი ათას ორას სამოცდახუთი ლარი და 96 თეთრი) ლარს.<br>3.2. საქონლის ერთეულის ღირებულება შეადგენს:<br>3.2.1. ულტრახანმოკლე მოქმედების ინსულინის ანალოგი აპიდრა (ინსულინ გლულიზინი) 3 მლ. ხსნარი კარტრიჯში, რომელიც დალუქულია ერთგვაროვან წინასწარ შევსებულ კალამში (სოლოსტარი) 100 ს.ე/მლ 8.529139 (რვა ლარი და 529139) ლარს. | **3. Total Cost of the Agreement**<br>3.1. Total cost of the Agreement is 1064265.96 GEL (one million sixty-four thousand two hundred and sixty-five GEL and 96 Tetri).<br>3.2. Price per unit for the product:<br>3.2.1. Insulin analogue Apidra with ultra rapid action (insulin glulisin) 3ml solution in cartridge system sealed in pre-filled pen (SoloStar) 100 IU/ml – 8.529139 GEL (eight GEL and 529139 Tetri). |

| | |
|---|---|
| 3.3. მითითებული ფასი მოიცავს ყველა დანახარჯს საქონლის თბილისამდე CIP (Incoterms-2000) პირობით მიწოდების (პორტალი თბილისის აეროპორტი-აეროპორტის მიმდებარე ტერიტორია), შეფუთვის, მარკირების, დაზღვევასა და სხვა თანმდევი ხარჯების ჩათვლით. | 3.3. This price shall include all the expenses regarding supply of goods to Tbilisi CIP (Incoterms-2000) terms (portal Tbilisi Airport – adjacent territory of the airport), including the expenses for packaging, labeling, insurance and other concomitant fees. |
| **4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**<br>4.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი. კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, საქონლის მიღებისას საქონლის განთავსების ადგილას, რაც გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების, ასევე მოსაწოდებელი საქონლის წარმოების, შეფუთვის, ვარგისიანობის ვადების, ჰიგიენური ნორმების და მოწოდებისათვის აუცილებელი სხვა პირობებისა და ნორმების დაცვის კონტროლს. | **4. Control over Fulfillment of the Agreement**<br>4.1. Control over fulfillment of the Agreement will be undertaken by the inspection group formed by the Purchaser. Control shall be carried out from time to time, upon acceptance of the goods, at the storing site of the goods, referring to the control over compliance with the terms and conditions of the Agreement, as well as production, packaging, shelf-life, hygienic norms and other conditions and norms required for supply. |
| **5. შეფუთვა**<br>5.1. მოსაწოდებელი საქონელი შეფუთული უნდა იყოს შესაბამისი ნორმების დაცვით.<br>5.2. მიმწოდებელი პასუხისმგებელია შემსყიდველის წინაშე საქონლის ნებისმიერი სახის დაზიანების შემთხვევაში, რისთვისაც მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საქონლის სრული უსაფრთხოება, ტრანსპორტირებისას შესაძლო დაზიანებისა და გაფუჭებისგან.<br>5.3. თითოეული ყუთი უნდა იყოს დანომრილი და მათზე მკაფიოდ უნდა იყოს დატანილი შემდეგი ინფორმაციები: მიმწოდებლის დასახელება და მისამართი, მიმღების დასახელება და მისამართი, ტვირთის რაოდენობა, პროდუქციის დასახელება, ინფორმაცია გადატვირთვისას ტვირთის გაფუჭების ან დაზიანების თავიდან ასაცილებლად გასათვალისწინებელი პირობების შესახებ. | **5. Package**<br>5.1. Goods to be supplied should be packed in accordance with appropriate standards.<br><br>5.2. The Supplier is responsible for any damage of goods supplied to Purchaser, for which the Supplier must provide total safety of the goods from supposed damage or destruction during transportation.<br><br>5.3. Each box must be numbered and should clearly reflect the following information: name and address of the Supplier, name and address of the recipient, number of units, name of the product and information on the conditions to be taken into consideration for avoidance of destruction or damage of the goods during unloading. |
| **6. საქონლის მიწოდების და მიღება-ჩაბარების პირობები**<br>6.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მიხედვით. საქონლის პირველი ეტაპის – 20 000 კარტრიჯის მოწოდაბა ხორციედება ხორციელდება არაუგვიანეს 2014 წლის 15 მარტისა; ხოლო დარჩენილი საქონლის მოწოდება განხორციელდება შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს 2015 წლის 30 ივნისისა (საქონლის მოწოდების პირველ დღეს წარმოადგენს მიმწოდებლისათვის წერილობითი მოთხოვნის | **6. Terms of supply and delivery/receipt of goods**<br><br>6.1. Goods will be supplied gradually, according to the terms and conditions stipulated hereunder. First batch of the product – 20 000 cartridges shall be supplied not later than March 15, 2014 and supply of the rest products shall be carried out within 30 calendar days after acceptance of the written demand of the Purchaser, but not later than June 30, 2015 (first day of supply of the goods is the date of acceptance of the written demand by the Supplier). Written demand may be provided through mail or e-mail. |

| | |
|---|---|
| მიღების დღე). წერილობითი მოთხოვნა შესაძლებელის განხორციელდეს ფოსტის ან ელ.ფოსტის საშუალებით. | |
| 6.2. შემსყიდველი თვითონ უზრუნველყოფს მოწოდებული საქონლის განბაჟებისათვის საჭირო პროცედურებს. | 6.2. The Purchaser shall carry out all the procedures required for customs clearance of the products by itself. |
| 6.3. საქონლის მიწოდების დღედ ჩაითვლება 3.3 პუნქტში დაფიქსირებულ მისამართზე საქონლის მიტანის თარიღი (შემდგომში - „მიწოდების დღე“), რის შემდეგაც შემსყიდველზე გადადის პასუხისმგებელობა საქონლის დაკარგვაზე ან დაზიანებაზე. | 6.3. Date of supply shall be the date of delivery of the goods to the address stipulated by the paragraph 3.3 (hereinafter – the "Date of supply"), after which the liability for damage or loss of the products shall be transferred to the Purchaser. |
| 6.4. შემსყიდველის მიერ საქონლის მიღება წარმოებს ეტაპობრივად, ამ მუხლის 6.1. პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად და მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებით (მიღების დღე). საქონლის მიღების ყოველი ეტაპის დასრულების შემდგომ ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე განხორციელდება მოწოდებული საქონლის შემოწმება, რომელსაც 6.3. პუნქტში დაფიქსირებული მიწოდების თარიღიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში განახორციელებს შემსყიდველის მიერ სპეციალურად შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი, ამ ხელშეკრულების 4.1. პუნქტის შესაბამისად. საქონლის მოწოდებისას, მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები: | 6.4. The Purchaser shall accept the goods gradually, according to the terms and conditions stipulated by the paragraph 6.1 hereunder and based on conclusion of the delivery-acceptance certificate (date of acceptance). The delivery-acceptance certificate shall be concluded after completion of each stage of acceptance of the goods. The goods supplied shall be checked until conclusion of the delivery-acceptance certificate, which will be carried out by specially formed inspection group of the Purchaser in no more than 5 (five) calendar days after the date fixed in the paragraph 6.3, according to the paragraph 4.1 hereunder. Upon delivery of goods the Supplier should submit following documents to the Purchaser: |
| 6.4.1. დეტალური ინვოისი (რომელშიც მოწოდებული საქონლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული რაოდენობა და შესაბამისი ერთეული გამოსახული იქნება ევროში); | 6.4.1. Detailed invoice (reflecting number of units and total price of goods in EUR); |
| 6.4.2. შეფუთვაში შემავალი საქონლის ჩამონათვალი; | 6.4.2. List of the goods included in the package; |
| 6.4.3. ანალიზის სერთიფიკატი; | 6.4.3. Certificate of analysis; |
| 6.4.4. წარმოშობის სერთიფიკატი; | 6.4.4. Certificate of origin; |
| 6.4.5. ავია ზედდებული. (სატრასპორტო ზედნადები) | 6.4.5. Bill of lading; (CMR) |
| 6.5. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სამკურნალო საშუალების მოწოდება შესაბამისი ტემპერატურული რეჟიმის მკაცრი დაცვით, „ცივი ჯაჭვის“ პრინციპების გათვალისწინებით. | 6.5. The Supplier should strictly follow established temperature conditions while shipment of goods, considering principles of "cold chain"; |
| 6.6. თუ შემსყიდველი უარს აცხადებს ხელი მოაწეროს მიღება-ჩაბარების აქტს ამ მუხლის 6.4. პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში, ის ვალდებულია ამავე ვადაში მიაწოდოს მიმწოდებელს დასაბუთებული უარი საქონლის მიღებაზე უარის თქმის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ შემსყიდველმა მიიღო საქონელი იმ რაოდენობით, ხარისხით და ასორტიმენტით რომელიც მას მიაწოდეს. | 6.6. If the Purchaser waives signing the delivery-acceptance certificate within the terms stipulated by the paragraph 6.4 hereunder, it shall be obliged to deliver the evidenced waiver on the goods to the Supplier within the same period. Otherwise, it will be considered that the Purchaser received the goods with the same quantity, quality and assortment, which was delivered to it. |
| **7. საქონლის ვარგისიანობის ვადა** | |
| 7.1. მოსაწოდებელი საქონლის ვარგისიანობის ვადა | |

მიღების დღისათვის არ უნდა იყოს 12 (თორმეტი) კალენდარულ თვეზე ნაკლები.
7.2. მიმწოდებელი ვალდებულია მოწოდებული საქონლის წუნდების შესახებ წერილობითი შეტყობინების მიღებიდან (ფოსტით ან ელ. ფოსტის საშუალებით) არაუმეტეს 45 კალენდარული დღის განმავლობაში განახორციელოს წუნდებული საქონლის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

**8. ანგარიშსწორება**

8.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება.
8.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ევროში, საქონლის მიღების დღეს (მხარეთა შორის მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების დღე) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის შესაბამისად ეროვნულ ვალუტასთან მიმართებაში.
8.3. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღების დღიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.

**9. ხელშეკრულების პირობებისა და ფასების გადასინჯვა (ცვლილება)**

9.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
9.2. ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ერთეულის ფასის ცვლილება დასაშვებია მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:
9.2.1. მიმწოდებლის მიერ სატენდერო წინადადების მიღების დასრულების დღისთვის 10.02.2014. ევროსთან მიმართებაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ეროვნული ვალუტის (ლარი) კურსის (1 ევრო = 2.3844 ლარი) არანაკლებ 5% ცვლილების შემთხვევაში, როგორც ზრდის, ასევე შემცირების შემთხვევაში;
9.2.2. საგადასახადო რეჟიმის შეცვლა, რაც უშუალო ზეგავლენას მოახდენს ამ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე და გაზრდის ან შეამცირებს ფასებს 5%-ით ან მეტით;
9.2.3. თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას, ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ

**7. Shelf-life of the Goods**

7.1. Shelf-life of the goods to be supplied is no less than 12 (twelve) calendar months from the moment of acceptance of the goods.

7.2. Supplier is obliged to replace defective goods no later than 45 calendar days after receipt of written notice (by mail or e-mail) about such defect from the Purchaser without charging Purchaser with any additional expenses.

**8. Terms of payment**

8.1. Payment will be made by bank transfer.

8.2. Payment will be made in EUR according to currency exchange rates established by the National Bank of Georgia on the date of acceptance of the goods (the date of conclusion of the delivery-acceptance certificate by and between the parties).

8.3. Payment will be made within 20 (twenty) calendar days after acceptance of the goods.

**9. Examination of the Terms and Conditions of the Agreement and Prices (Amendment)**

9.1. None of the deviations or amendments to the terms and conditions of the Agreement is accepted other than the written amendment signed by both parties. In case of necessity to amend the terms and conditions of the Agreement for unforeseeable reasons, the party initiating the amendments shall be obliged to notify another party in writing about it.

9.2. Change in unit price given in this Agreement is possible only in following cases:

9.2.1. Increase or decrease of the exchange rate of the national currency against Euro established by the National Bank of Georgia (1 EUR=2.3844 GEL) by no less than 5 % at the end of proposal receipt day, 10.02.2014;

9.2.2. Changes in the tax system, directly affecting fulfillment of provisions of this Agreement, resulting in increase or decrease prices by 5% or more;

9.2.3. The circumstances being the basis of conclusion of this Agreement were substantially changed and the parties would not

| | |
|---|---|
| გაეთვალიწინებინათ, მაშინ შეიძლება მოთხოვნილი იქნას ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. | enter into this Agreement or would enter with other content, if such changes occurred, then the compliance of this Agreement to the changed circumstances may be demanded. |
| 9.3. დაუშვებელია ერთეულის ფასის ისეთი ცვლილება, რომელიც გამოიწვევს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდას. | 9.3. Change of unit price in such a way that increases total cost of this Agreement by more than 10% is inadmissible. |
| 9.4. ცვლილების შეტანის ინიციატორმა მხარემ წინასწარ უნდა შეატყობინოს ამის შესახებ მეორე მხარეს წერილობითი ფორმით. ფასების ცვლილება ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით. ამასთან ნებისმიერ დროს შესაძლებელია ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა ერთ-ერთი მხარის ინიციატივით იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან ფასების ცვლილებაზე, რაც არ ჩაითვლება ხელშეკრულების პირობების დარღვევად ან/და შეუსრულებლობად და არ გამოიწვევს მეორე მხარის მიმართ რაიმე სახის საჯარიმო სანქციის ან სხვაგვარი პასუხისმგებლობის გამოყენებას. | 9.4. The party initiating changes in prices should notify in writing the other Party in advance. Changes in prices will be mutually agreed in writing. In addition, any party is allowed to terminate this Agreement in case if Parties do not achieve agreement on price changes, which will not be considered as violation and/or non-fulfillment of provisions of this Agreement and will not result in imposing any sanctions or other responsibilities on other Party. |
| **10. მხარეთა უფლება-მოვალეობანი** | **10. Rights and Obligations of the Parties** |
| 10.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება საქონლის ხარისხის და/ან მიწოდების პირობების გაუარესების გამო, წანამდებარე ხელშეკრულების 7.2 და მე-12 პუქტებით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით. | 10.1. The Purchaser has right to terminate this Agreement if quality and/or delivery of the goods are worsened, as well as in case of occurrence of conditions envisaged by the paragraphs 7.2 and 12 hereunder; |
| 10.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების დროული გადარიცხვა მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე. | 10.2. The Purchaser is obliged to make payment for the supplied goods in due time on the Supplier's bank account; |
| 10.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების დროული გადარიცხვა მის საბანკო ანგარიშზე. | 10.3. The Supplier has right to demand timely payment from the Purchaser for the supplied goods on its bank account; |
| 10.4. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მიწოდება შემსყიდველისათვის ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად. | 10.4. The Supplier is obliged to supply the goods stipulated hereunder to the Purchaser in accordance with the terms and conditions foreseen hereunder. |
| **11. ხელშეკრულების შესრულების გარანტია** | **11. Guarantee for Fulfillment of the Agreement** |
| 11.1. იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, გამოიყენება ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით. საბანკო გარანტია უნდა მოქმედებდეს არანაკლე 2015 წლის 31 ივლისისა. | 11.1. In order to avoid any risk, incurred by the Supplier regarding failure of fulfillment of the present Agreement, the bank guarantee by amount of 2% of total cost of the Agreement shall be applied. The bank guarantee shall be valid until July 31, 2015. |
| 11.2. შემსყიდველის მიერ მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების დარღვევის ფაქტის გამოვლენა, რასაც მოყვება 10.1. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის დადგომა და ამის შესახებ გარანტიის გამცემი ბანკის ინფორმირება, წარმოადგენს საფუძველს გარანტიის გამცემი ბანკის | 11.2. Disclosure of violation facts against provisions of this Agreement, followed by occurrence of the case stipulated by the paragraph 10.1 and providing information about these facts to the guarantee-granting bank represents the main basis for the guarantee- |

მიერ საბანკო გარანტიით განსაზღვრული თანხის შემსყიდველის ანგარიშზე გადარიცხვისათვის.
11.3. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულების, ასევე მიმწოდებლისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტისას მიმწოდებლის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში დაუბრუნოს მას გარანტია.

**12. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის**

12.1. საქონლის მოწოდებისათვის განსაზღვრული ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე გაანგარიშებით იხდის პირგასამტეხლოს შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.
12.2. ხელშეკრულების მე-8 პუნქტის 8.3 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით, გადაუხდელითანხის 0,1%-ისოდენობით. ასეთი უფლებით მიმწოდებელმა შეიძლება ისარგებლოს მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ და იგი არწარმოადგენს მის ვალდებულებას.
12.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მომწოდებელს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან.
12.4. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 2%-ს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

**13. ფორს-მაჟორი**

13.1. ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ (ნაწილობრივ) შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წარმოშობაზე ხელშეკრულების მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ ხელშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდათ.
13.2. გადაულახავ ძალად ჩაითვლება შემდეგი (და არა მხოლოდ):
13.2.1. სტიქიური უბედურებანი (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, შტორმი და სხვა);

granting bank to transfer guaranteed amount on the Purchaser's account.

11.3. In case of receipt of written request from the Supplier, the Purchaser is obliged to return guarantee to the Supplier if the obligations imposed hereunder by the Supplier are completely and properly fulfilled, as well as if termination of present agreement is caused by reasons not associated with the Supplier.

**12. Liability of the Parties for non-fulfillment of Agreement Terms**

12.1. In case of violation of terms considered for delivery of the goods, the Supplier has to pay penalty at the rate of 0,1% of the amount payable for each overdue calendar day.

12.2. In the event of violation of payment terms stipulated in sub-paragraph 8.3, paragraph 8 of this Agreement, the Supplier is authorized to impose a penalty to the Purchaser at the rate of 0.1% of the amount payable for each overdue calendar day. Such right may be enjoyed by the Supplier only at its sole discretion and represents no liability.

12.3. Payment of the penalty sanctions does not release the Supplier from fulfillment of basic liabilities.

12.4. In case if total penalty amount imposed on the parties for late payment reaches 2% of total cost of this Agreement, the parties have right to terminate the present Agreement.

**13. Force-majeure**

13.1. Based on the Agreement none of the parties shall bear liability against another and is released from liability to meet obligations fully or improperly (partially) if this was caused by occurrence of special insuperable force, which represents no responsibility of the parties, and they could not know about it by the moment of concluding this Agreement.

13.2. Insuperable force may include (but not limited by):

13.2.1. Natural disasters (fire, flood, earthquake,

13.2.2. გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომი, სამოქალაქო არეულობა, ნებისმიერი სახის საომარი მოქმედებები, საგანგებო მდგომარეობა;
13.2.3. ეპიდემიები;
13.2.4. ბლოკადა ან ნებისმიერი ეკონომიკური ემბარგო;
13.2.5. ხელისუფლების ნებისმიერი ერთეულის ან ხელისუფლების მიერ საამისოდ კომპეტენტურად განსაზღვრული ორგანოს გადაწყვეტილება და ისეთი ნორმატიული აქტის გამოცემა, რომელიც ზემოქმედებს მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და ცვლის, წყვეტს ან აჩერებს ხელშეკრულების დებულებებსა და პირობებს.
13.3. ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ.
13.4. ფორს-მაჟორული მოვლენების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებით (ტელეფონი, ფოსტა, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა).
13.5. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა ავტომატურად არ იწვევს ხელშეკრულების გაუქმებას. მხარეები ვალდებულნი არიან განსაზღვრონ წინამდებარე ხელშეკრულების ფორს-მაჟორულ მოვლენებთან მისადაგების საკითხი.
13.6. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.
13.7. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ვალდებულებების შესრულების პერიოდი შეჩერდება იმ დროით, რა დროსაც გასტანა ასეთმა გარემოებებმა თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება.
13.8. მხარე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობიდან, თუ კი ფორს-მაჟორული მოვლენის დადგომა გამოწვეულია მისი ბრალით, ან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება შესაძლებელი იყო ასეთ გარემოებათა დადგომამდეც გონივრულ ვადებში.

**14. ხელშეკრულების შეწყვეტა**

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ შემთვევებში, ასევე ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
14.2. ხელშეკრულების 14.1. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აღნიშნულის თაობაზე აცნობოს წერილობით, არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღით ადრე.
14.3. წერილობითი შეტყობინება არ ათავისუფლებს

storm, etc.);

13.2.2. Announced or unannounced war, civil unrest, any kind of military activity, emergency situation;

13.2.3. Epidemics;

13.2.4. Blockade or any economic embargo;

13.2.5. Decision of any governmental unit, or any authority recognized to be competent and release of the normative act, which influences fulfillment of the obligations envisaged by this Agreement and changes, terminates or cancels the terms and conditions of the Agreement.

13.3. Force-majeure has to be confirmed by the competent authorities.

13.4. The party must immediately notify another party about force-majeure circumstances by any available means of communication (phone, postal service, fax, email, courier etc.).

13.5. Existence of force-majeure does not automatically terminate this Agreement. The Parties have to determine the issue of compliance of this Agreement with force-majeure circumstances.

13.6. Upon termination of force-majeure circumstances, the Parties immediately continue fulfillment of obligations undertaken by this Agreement.

13.7. In case of force-majeure, time of non-fulfillment of obligations will last until termination of such circumstances, if not otherwise agreed between the Parties.

13.8. The Party is not released from obligations if force-majeure was caused by its fault or if obligations could have been fulfilled in reasonable terms before such circumstances.

**14. Termination of the Agreement**

14.1. The present Agreement may be terminated in the cases stipulated hereunder, as well as by initiative of either party on the basis of mutual agreement.
14.2. In case of existence of condition set forth in the paragraph 14.1 hereunder, either party is responsible to inform the other party in writing about such conditions

მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

**15. დავები და მათი გადაწყვეტის წესი**

15.1. მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

15.2. თუ მხარეები ვერ შეძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

**16. სხვა პირობები**

16.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

16.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

16.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

16.4. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების და ა. შ. თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

16.5 კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

16.6. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) ეგზემპლარად ქართულ და ინგლისურ ენაზე, რომელთაგან თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა. ხელშეკრულების ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო ერთი ეგზემპლარი - მიმწოდებელთან. დავების განხილვის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულენოვან ვერსიას.

16.7. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეტანილია წერილობითი სახით და ხელმოწერილია ორივე მხარის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიერ.

16.8. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

16.9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2015 წლის 31 ივლისამდე ჩათვლით.

no later than 15 (fifteen) calendar days.

14.3. Written notification shall not release the parties from fulfillment of the obligations imposed hereunder until termination of the Agreement.

**15. Disputes and the Ways of their Settlement**

15.1. Disputes raised between the Parties may be settled on basis of amicable negotiations.

15.2. If parties will not be able to settle disputes based on the amicable negotiations, then either party has right to apply to respective courts of Georgia.

**16. Miscellaneous**

16.1. The Parties follow the principles of mutual respect and intend to deepen cooperation.

16.2. The contracting parties are obliged to protect the name, business reputation and dignity of other party.

16.3. Parties are obliged not to disclose information about other party acquired as a result of mutual business activities.

16.4. The contracting parties have no right to announce about the inability to fulfill, non-fulfillment or improper fulfillment of the Agreement and etc. by other party, before the corresponding issue is mutually studied and appropriate facts are confirmed.

16.5. The fact will not be considered as violation of confidentiality when disclosure of the information is demanded by the law or the act released by any governmental authority on the basis of law.

16.6. The present Agreement is drawn up in 3 (three) copies in Georgian and English languages, each having equal legal force. Two copies of Agreement are filed with the Purchaser and one - with the Supplier. In case of any dispute, Georgian version will prevail.

16.7. All the amendments and changes to the present agreement are valid if drawn up in written form and signed by dully authorized representatives of both parties.

16.8. Issues related to this agreement shall be governed by the laws of Georgia.

16.9. This Agreement shall be valid until July 31, 2015.

**17. Legal addresses and requisites of the parties**

| | |
|---|---|
| 17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები<br><br>**მყიდველის მხრიდან**<br>სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო<br>საიდენტიფიკაციო კოდი №202178927<br>ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი N144<br><br>**დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი**<br><br>____________<br>**ბ-ნი ნოე ქინქლაძე**<br><br>გამყიდველის სახელით<br>შპს „Sanofi-Aventis Private Co." უნგრეთი, H-1045, ბუდაპეშტი, ტოს ქუჩა 1-5, საიდენტიფიკაციო კოდი **01-10-043308,** ბანკის დასახელება: SWIFT: BNPAHUHX ანგარიში: 13100007-02508620-00819782<br><br>ბუდაპეშტის ლოგისტიკისა და დისტრიბუციის პლატფორმის დირექტორი<br><br>____________<br>ბ-ნი ზოლთან ენგელეიტერი<br>სადისტრიბუციო კონტროლის მენეჯერი<br><br>____________<br>ქ-ნი ანა ტოთ ფოდორნი | **On behalf Buyer**<br>LEPL Social Service Agency<br>Identification code 202178927,<br>No. 144, Tsereteli Ave., Tbilisi<br><br>**Deputy Director**<br><br>\-\-\-\-\-\-\-\-\-\-\-\-<br>**Mr. Noe Kinkladze**<br><br>On behalf of the Seller<br>**"Sanofi-Aventis Private Co."** Ltd. Hungary, H-1045, Budapest, To Str. identification code 01-10-043308; Bank: CALYON Bank; SWIFT code BNPAHUHX; account: 13100007-02508620-00819782<br><br>Budapest Logistic and Distribution Platform Director<br><br>____________<br>Mr. Zoltan Engelleiter<br>Distribution Controlling Manager<br><br>____________<br>Mrs. Anna Toth Fodorne |

ვიზა:

ზაზა რუხაია

ნატალია ხომასურიძე

ავთანდილ ვასაძე

ნინო სახაძე

ტატა სირბილაძე